საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ს. ხ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №061/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ნ. -ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 21 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ს. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით კოლეგასთან, ადვოკატ ნ. ნ.-სთან ერთად მიწვეული იყო სატელევიზო გადაცემაში, სადაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ მოახერხა მისვლა. ჟურნალისტმა სატელევიზიო გადაცემის დაწყებისას გააჟღერა, რომ საჩივრის ავტორი ჯანმრთელობის პრობლემის გამო ვერ ახერხებდა მისვლას, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ თავდაპირველად ს. ხ. თანახმა იყო გადაცემაში მონაწილეობა მიეღო. გადაცემის მსვლელობის დროს ადვოკატმა ნ. ნ.-მ ეჭვქვეშ დააყენა ს. ხ.-ის სიტყვები და გააჟღერა შემდეგი ფრაზა „მოპასუხე მხარე ვერ მოვიდოდა, რადგან პასუხი არ აქვთ და პოზიცია არ აქვთ“. საჩივრის

ავტორის განმარტებით, კოლეგის განცხადებით თავი იგრძნო შეურაცხყოფილად, რადგან ნ. ნ.-მ მატყუარად გამოიყვანა ყველას წინაშე, საჯარო სივრცეში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ნ.-მ სატელევიზიო გადაცემაში არასწორი ინფორმაცია გააჟღერა მორიგებასთან დაკავშირებით, თითქოსდა საჩივრის ავტორს არ ჰქონდა შესაგებელში დაფიქსირებული მორიგების თაობაზე პოზიცია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ნ.-მ გადაცემის მსვლელობისას მის მიმართ გააჟღერა შემდეგი ფრაზა: „ქალბატონი ს. იურისტია განათლებით, ვერ გავაგებინე მას, რომ დევნა დღეს სისხლისსამართლებრივი ნიშნავს, რომ არ მიმდინარეობს ე. ი. არ დაწყებულა ამ ადამიანის მიმართ, რომ შეწყდა ეს მომიტანეთო, თუ არ დაწყებულა". საჩივრის ავტორის პოზიციით, მოპასუხე ადვოკატმა არასწორი განმარტება მისცა მის პოზიციას და არაკომპეტენტურად წარმოაჩინა. ამავე საკითხთან დაკავშირებით, ს. ხ.-ს სურდა კონსულტაციის გავლა კოლეგებთან. ეს ინფორმაცია ადვოკატმა ნ. ნ.-მ თავის კლიენტს მოახსენა, რომელმაც არაერთ ინტერვიუში ირონიულად განაცხადა, რომ „ს. იურისტია და მეგობრებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია".

1.5 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 15 აგვისტოს სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მ ერთ-ერთი განცხადებაზე სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მიაყენა შეურაცხყოფა, რომელიც გამოიხატა შემდეგში: „მე სამართლის დოქტორი ვარ და თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ თქვენი ნაწერით, ეს რა ნაწერია თქვენ საერთოდ წარმოდგენა გაქვთ სამართალზე". საჩივრის ავტორი თავის ახსნა-განმარტებაში ასევე უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ მოხდა მისი ცოდნის დაკნინება. საჩივრის ავტორი უთითებს იმ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ფრაზეოლოგიაზე, რომლებიც მის მიმართ გამოიყენეს ნ. ნ.-მ და მისმა კლიენტმა: „კონსულტაციას გაივლის მის მეგობარ იურისტებთან და მერე გვეტყვის პასუხს", „რა ქენი შვილო მეგობარ იურისტებს დაურეკე, რომ გითხრან რამე პასუხი?".

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ნ. ნ.-ის შეურაცხმყოფელი ქმედების გამო დღემდე მის მიმართ საზოგადოებაში არის დამცინავი კომენტარები. საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატმა ნ. ნ.-მ შეურაცხყოფა მიაყენა მის პროფესიულ რეპუტაციას და კლიენტთან განიხილა კოლეგის კომპეტენციის საკითხი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ნ.-მ 2022 წლის 06 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2022 წლის 5 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის მიერ გამართულ სხდომაზე ზეპირი ახსნა-განმარტების მიცემისას აღნიშნა, რომ იცავს უკანონოდ გათავისუფლებულ უსინათლო ლ. ვ.-ს და ათი სხვადასხვა პირის უფლებებს. ადვოკატი ს. ხ. წარმოადგენს მისი კლიენტების მოწინააღმდეგე მხარის - ა(ა)იპ უ. კ.-ს ინტერესებს. ადვოკატის განმარტებით, ამ პირთა გათავისუფლების ფაქტი ცნობილი გახდა სოციალური ქსელის ,,Facebook"-ის მეშვეობით. ადვოკატის განმარტებით, იგი ყველანაირად ცდილობდა შრომითი დავა სასამართლოს გარეშე მოეგვარებინა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ს. ხ. საკუთარ მსჯელობას მცდარ ფაქტებზე აგებს, რომლებსაც უკეთებს მისეულ, არასწორ ინტერპრეტაციას. ადვოკატს პრეტენზია აქვს ისეთი გამონათქვამებიდან გამომდინარე, რომლებიც არ არის ღირსების და მისი პროფესიული საქმიანობის შემლახველი. ნ. ნ.-ის პოზიციით, მისი თითოეული სიტყვა მოქცეულია გამოხატვის თავისუფლების ნორმებში და მისი ქმედება მიმართულია საკუთარი კლიენტის უფლებების დაცვისაკენ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ს. ხ. განმარტავს, რომ 16 ივლისს დაგეგმილ სატელევიზიო გადაცემაში ვერ შეძლო გამოცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომლის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 14 ივლისით, რომელიც ადასტურებს, რომ სასწრაფო სამედიცინო ბრიგადა გამოძახებული იქნა 14 ივლის 02 საათსა და 22 წუთზე. ა(ა)იპ ს. უ. კ.-ის 2022 წლის 14 ივლისის (N01/77) წერილით დასტურდება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ხელი არ შეუშლია ადვოკატ ს. ხ.-სთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში. ადვოკატის მითითებით, 16 ივლისს სატელევიზიო გადაცემაში გამოუცხადებლობის დასადასტურებლად ს. ხ. -ს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება და მხოლოდ აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ ორი დღის უკან დასჭირდა სამედიცინო დახმარება. ადვოკატის განმარტებით ზემოაღნიშნული საფუძვლებისა და თავისი კლიენტის დაცვის პრიორიტეტული ინტერესებიდან გამომდინარე, გააჩნდა სრული უფლება გამოეთქვა ვარაუდი, ადვოკატ ს. ხ. მიერ გადაცემაში გამოცხადებისაგან განზრახ თავის არიდებასთან დაკავშირებით.

2.4 ადვოკატის განმარტებით, თავისი კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით, მათი გათავისუფლების დღიდან, როგორც ს. ხ.-თან, ასევე ა(ა)იპ ს. უ. კ.-ის გამგეობის სხვა წევრებთან, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის ჩართულობით აწარმოებდა მედიაციის პროცესს და მხარეთა ინტერესების შეჯერების გზით ცდილობდა საკითხის სასამართლო განხილვის გარეშე მოგვარებას. ადვოკატის მითითებით, შესაგებელში მხოლოდ მორიგებასთან დაკავშირებით აღნიშვნის გაკეთება არ შეიძლება განხილულ იქნეს იმგვარად, რომ მოწინააღმდეგე მხარე შეთანხმების ხარჯზე გამოხატავს მზაობას მორიგებასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნული გარემოების საფუძველზე გააჩნდა მას სატელევიზიო გადაცემაში დასკვნის გაკეთების ლეგიტიმური საფუძველი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მედიაციის პროცესში კავშირის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მოთხოვნად დასახელდა, რომ თუ იგი საგამოძიებო სამსახურიდან წარადგენდა წერილს, რომლითაც დასტურდებოდა ცენტრის დირექტორის უდანაშაულობა, კავშირის გამგეობა იმსჯელებდა ყოფილი დირექტორის თანამდებობაზე დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით. ადვოკატი ს. ხ. შეეცადა მორიგებისთვის ხელოვნური ბარიერის შექმნას და მოცემული წერილი განმარტა იმგვარად, რომ გამოძიება კვლავ გრძელდებოდა და მომავალში შესაძლოა დღის წესრიგში დამდგარიყო ცენტრის ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, სატელევიზიო გადაცემაში ადვოკატმა გააკეთა კომენტარი, რომ „პროფესიით იურისტ ს. ხ.-ს ვერ

გავაგებინე საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული წერილის შინაარსი“. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ „იგი სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია და წერილის შინაარსის დადგენისთვის მეგობარი იურისტების დახმარება დასჭირდა“, ადვოკატის განმარტებით, ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან პროფესიით იურისტს, რომელსაც გააჩნია მაგისტრის ხარისხი, მოეთხოვება სამართლის სამართლის ნებისმიერ დარგში ცოდნის მინიმალური სტანდარტი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის არცერთი მოთხოვნის დარღვევას და მის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ნ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ს. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 21 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ნ. ნ.-მ სატელევიზიო გადაცემაში საუბრისას კოლეგა, ადვოკატი ს. ხ. მოიხსენია უარყოფით კონტექსტში, მის მიმართ წარმოთქვა შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური ფრაზები, რითაც მოიქცა არაკოლეგიალურად და შელახა საჩივრის ავტორის პროფესიული ღირსება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7);

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.3 კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. კოლეგიალობა ნიშნავს საერთო საქმიანობას და გამოიხატება საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) სწრაფვაში, პროფესიულ ურთიერთპატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ. ამასთან ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-17.1 მუხლის მიხედვით „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“. საქართველოს კანონის ,, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-3.1 მუხლის მიხედვით ,, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს“. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისათვის შეუცვლელი წყაროა“.

5.6 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

5.7 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: „ადვოკატები სხვა მოქალაქეების

მსგავსად სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც, დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობის და დაცვის საკითხებთან. ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.8 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №100/12 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.“

5.9 ამ ეტაპზე საპროცესო კოლეგიის მიერ დასადგენია, ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატმა ნ. ნ.-მ კოლეგიურობის პრინციპი ადვოკატ ს. ხ.-ის მიმართ, კერძოდ თავის სატელევიზიო განცხადებებით შელახა თუ არა მისი, როგორც ადვოკატის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემლობა.

5.10 საქმეში წარმოდგენილია ტელეკომპანია „ფ.-ს“ ეთერში გასული გადაცემის ჩანაწერი. აღნიშნულ ვიდეოში, ადვოკატმა ნ. ნ.-მ გააჟღერა შემდეგი ფრაზები:

„ს. ხ. მხარს არ უჭერს მორიგებას“;

„არც მოდის მოპასუხე მხარე, ვერ მოვიდოდა მოპასუხე მხარე, რადგან მათ არ აქვთ პასუხი ძვირფასებო და როგორ უნდა მოვიდნენ“;

„მათ პოზიცია არა აქვთ“;

„ქალბატონი ს. იურისტია განათლებით, ვერ გავაგებინე მას, რომ დევნა დღეს სისხლისსამართლებრივი ნიშნავს, რომ არ მიმდინარეობს ე. ი. არ დაწყებულა ამ ადამიანის მიმართ , რომ შეწყდა ეს მომიტანეთო, თუ არ დაწყებულა“;

„მე სამართლის დოქტორი ვარ და თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ თქვენი ნაწერით, ეს რა ნაწერია თქვენ საერთოდ წარმოდგენა გაქვთ სამართალზე“;

„პროფესიით იურისტ ს. ხ. ვერ გავაგებინე საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული წერილის შინაარსი“.

5.11 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ სატელევიზიო გადაცემაში ნ. ნ.-ის მიერ გამოთქმული ფრაზები ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საქმე ეხებოდა გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ როდესაც საქმე ეხება საზოგადოების განსაკუთრებული

ინტერესის საგანს, აზრის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო მისი შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი.

5.12 ადვოკატ ნ. ნ.-ის კომენტარის შინაარსი უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და არა კომენტარიდან ამონარიდი ცალკეული ფრაზებიდან გამომდინარე. ადვოკატის მიერ სატელევიზიო გადაცემაში გაჟღერებული კომენტარები მოიცავს მოსაზრებებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატ ს. ხ.-ის ქმედებების შესახებ. განცხადებები შესაძლოა არ იყოს მოსაწონი და მისაღები იმ ადვოკატისათვის, ვის მიმართაც არის მიმართული, მაგრამ ეს კომენტარები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას. ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონია არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, ვინაიდან მისი კომენტარები წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე. ამასთან, ადვოკატი ნ. ნ. მიზნად ისახავდა კლიენტთა პოზიციის საუკეთესოდ წარმოჩენას და არა კოლეგის შეურაცხყოფას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის მიერ სატელევიზიო განცხადებაში მოცემული კომენტარები კრიტიკული შინაარსისაა, თუმცა არ სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

5.13 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მ თავის კლიენტებთან განიხილა კოლეგის, ადვოკატ ს. ხ.-ის კვალიფიციურობის საკითხი და აქედან გამომდინარე, მისი კლიენტები ადვოკატ ს. ხ.-ის მიმართ აჟღერებდნენ ფრაზებს: „კონსულტაციას გაივლის მის მეგობარ იურისტებთან და მერე გვეტყვის პასუხს"; „რა ქენი შვილი მეგობარ იურისტებს დაურეკე, რომ გითხრან რამე პასუხი?".

5.14 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები". საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.15 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს." ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.16 კოლეგია განმარტავს, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის ფარგლებში კონკრეტული სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, ადვოკატ ს. ხ. საქმეში მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე არ დასტურდება, რომ ადვოკატმა ნ. ნ.-მ კლიენტებთან დააკნინა კოლეგის, ს. ხ.- ის პროფესიული რეპუტაცია.

5.17 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ნ.-ის სატელევიზიო კომენტარებში მოცემული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე, ადგილი არა აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევას და ადვოკატ ნ. ნ. -ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №061/22 ადვოკატ ნ. ნ.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/